სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2019 წლის 7 მაისი

ქ. სამტრედია

„სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 სექტემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა „სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 სექტემბრის №23 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 02/10/2017; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.120.016242) ცვლილებების შეტანის საკითხი და **დაადგინა:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 სექტემბრის №23 დადგენილებაში.

მუხლი 2

„სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 სექტემბრის №23 დადგენილების მუხლი 2-ის მე-2 პუნქტის „ნ“ და „რ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„ნ) სამოქმედო გეგმა – დაწესებულების მიერ შემუშავებული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული ყოველწლიური დოკუმენტი, რომლის შემუშავება მიზნად ისახავს დაწესებულების მიერ მომსახურების მიწოდების გაუმჯობესებას და ასახავს კონკრეტულ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მისაღწევ მიზნებს, სამიზნე მაჩვენებლებს და აქტივობებს;“;

„რ) მერია – სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია, რომელიც ახორციელებს დაწესებულებების ავტორიზაციას და ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით მონიტორინგს, შეფასებას და ანგარიშგებას.“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ნუგზარ ჯამბურია**